ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 2

ქ. ლანჩხუთი

22.03.2023 წელი

11.00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი;**

კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, ლოლიტა ურუშაძე, კარლო წილოსანი,ელისო ჭიჭინაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე.საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **გურამ ბოლქვაძე,** საკრებულოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი ცპეციალისტი **ლაშა სარჯველაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

3. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ,ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ეკა გუჯაბიძემ მან განმარტა, რომ ამ პროფილის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით ჩამოყალიბების ძირითადი მიზანი მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერება, მათი ეკონომიკური ჩართულობის გაზრდა, დასაქმების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდაა.

იურიდიული პირის მიზნებად განსაზღვრული აქვთ შემდეგი ამოცანები:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;
ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადამიანების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების მომზადება/განხორციელება, მათი ინფორმირება აღნიშნულ სფეროში არსებული სიახლეებისა და სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ეკონომიკური პროექტების შესახებ;
გ) მუნიციპალური პროექტების მომზადება კერძო/სახელმწიფო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით;
დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების აღრიცხვა/რეკლამირება;
ე) ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება-დაგეგმვა და მარკირება;
ვ) ტურისტულ ოპერატორებთან, კომპანიებთან ერთად ინფო-ტურების ორგანიზება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების პოპულარიზაციის მიზნით;
ზ) ტურისტული ფესტივალების, ბაზრობების, მოგზაურობების, სპორტულ- გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი გამაჯანსაღებელი და კულტურული ღონისძიებების ჩატარება;
თ) სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების განვითარებისათვის ხელშემწყობი აგროტურისტული აქტივობების დანერგვა;
ი) მოზარდებისათვის სასოფლო ტურების მოწყობა;
კ) მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეკლამირება და სარეალიზაციო ბაზრის მოძიებაში ხელშეწყობა;
ლ) სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, მოსახლეობის ტექნიკური და ინფორმაციული მხარდაჭერა;
მ) კანონით ნებადართული ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წესდებით მაგრამ არ ეწინააღმდეგება დაწესებულების მიზნებს.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ. ისაუბრა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილმა მან კომისიას გაცნო აღნიშნული საკითხი რაზეც კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს
მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

1. დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე დაინტერესდა ქალაქის ცენტრში მოსაცდელის მშენებლობის ბედით.
2. დეპუტატებმა დარეჯან ბურულაძემ დააყენა შემდეგი საკითხები: ჯანდაცვის სამსახურის შენობის მოწესრიგება,სოფ კოკათში დაწყებითი სკოლის ეზოში ნაძვის მოჭრის საკითხით რომელიც საფრთხის შემცველია ბავშვებისა და შენობისთვის, ასევე იმედო დუნდუას სახელობის ხელოვნურსაფარიანი სტადიონის შეკეთების ბედით.
3. ნინო მშვიდობაძის თხოვნაა ქალაქის ტერიტორიიდან აგრესიული და დაავადებული ძაღლების გაყვანა და როგორმე მათთვის მაინც აშენდეს თავშესაფარი .
5. ლოლიტა ურუშაძეს აინტერესებს თუ რატომ არ კეთდება ახალი შენობა ნიგოითის სკოლის და რატომ ხდება მისი რეაბილიტაცია.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
დასკვნა №2

22.03.2022 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 22 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,განათლების,კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.
/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/
2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.
/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

დღის წესრიგის პირველ საკითხი :
„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.
კომისისი წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

დღის წესრიგის მეორე საკითხი :
2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისისი წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა ,განათლების,კულტურისა
და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **კარლო კვიტაიშვილი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

22.03.2023 წელი
11:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	10 55	
2. ნინო მშვიდობაძე	10 55	
3. დარეჯან ბურჭულაძე	10 55	
4. ლოლიტა ურუშაძე	10 55	
5. კარლო წილოსანი	10 50	
6. ირმა მგელაძე		
7. მაკა მშვიდობაძე		
8. გოჩა ჯანაშია		
9. რევაზ კვერენჩხილაძე		
10. ელისო ჭიჭინაძე	10 50	

-